ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2800517

ნომერი: AR1433712

თარიღი : 23.08.2016

გაცემის თარიღი : 08.09.2016

გაცნობის თარიღი : 08.09.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა იუმაშევი , N 23 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ ქანთარია პ/ნ 01017015785
- თბილისი ვარკეთილი 3 II მ/რ კორ. 25ა ბ. სხვ.ს.

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- სამეურნეო და საწარმოო ობიექტები
  - საწყობი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ

თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განაცხადის პასუხად რომლითაც ითხოვთ მიწის ნაკვეთზე (საკადატსრო კოდით: #01.19.26.004.217) საწყობის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას გაცნობებთ, რომ სამსახურის მიერ #01.19.26.004.217 საკადასტრო ერთეულზე გაცემულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები არსებული შენობის ქიმიურ(ფარმაცევტულ) საწარმოდ რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციაზე (ბრძანება № 2000822 17/07/2015) . იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული დოკუმენტაციის საფუძველზე მშენებლობა დასრულებულია, გთხოვთ წარმოადგინოთ შენობა–ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი და განახლებული მიწის ნაკვეთის ამონაწერი.
ხოლო იმ შემთხვევაში თუ შეთანხმებული დოკუმენტაციის საფუძველზე აშენებული შენობა-ნაგებობა არ არის ექსპლუატაციაში მიღებული, ნებისმიერი ცვლილება უნდა აისახოს ზემოაღნიშნულ დოკუმენტაციაში. რისთვისაც Tas.ge–ზე ამავე განაცხადზე უნდა შეცვალოთ ნომენკლატურა და აირჩიოთ: >მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება და დააზუსტოთ მოთხოვნის ტექსტი.
დამატებით გაცნობებთ შემდეგს: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ #8 მუხლის მიხედვით დედაქალაქის ქალაქგანვითარების მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, და განაშენიანების რეგულირების წესების მესამე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავება სავალდებულოა, როდესაც ხორციელდება 7000 მ2 (0.7 ჰა) და მეტი ფართობის მქონე ტერიტორიის სამშენებლოდ გამოყენება;

განაშენიანების რეგულირების გეგმა - წარმოადგენს ქალაქთმშენებლობით დოკუმენტს, რომელიც დასახლებათა ტერიტორიებისთვის ადგენს მიწათსარგებლობის ზონებს (ქვეზონებს) ან/და აზუსტებს ცალკეული გეგმარებითი ერთეულების, განაშენიანების არქიტექტურულ-გეგმარებით და სივრცით-მოცულობით მახასიათებლებს, შენობების განთავსებას, მათ გეგმარებით პარამეტრებს; აზუსტებს უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების ქალაქთმშენებლობით მახასიათებლებს, რელიეფის ორგანიზებას, ტერიტორიების კეთილმოწყობასა და გამწვანებას, საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფას.

გამომდინარე ყოველივე ზემოაღნიშნულიდან არქიტექტურის სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზაშეწონილად მიაჩნია მოცემული ტერიტორიისთვის განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამუშავება.

რისთვისაც საკითხი შესაბამისი ესკიზური ვარიანტით უნდა ატვირთოთ www.tas.ge-ზე > ელექტრონულ განაცხადებში > მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები > განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება–ზე.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 30 დღიანი ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება გამოსწორებული ხარვეზები, საკითხი დარჩეს განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.